საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 22 00737056

22/03/2022

ბატონ ლაშა ახალაიას

ელ. ფოსტა: foi+request-459-4d84fe97@askgov.ge

ბატონო ლაშა,

მიმდინარე წლის 16 მარტის № 679469 განცხადების პასუხად გიგზავნით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2016–2021 წლებში, ბუნებრივი აირის და CO-ს გაჟონვის შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ჩაშლილია წლების, თვეების და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

დამატებით გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ ბუნებრივი აირის და CO-ს გაჟონვის შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები ერთიანდება შემდეგი ინციდენტის ტიპების ქვეშ: “ინტოქსიკაცია CO”, “უბედური შემთხვევის საფრთხე“ და „აფეთქება“. მათ შორის, “უბედური შემთხვევის საფრთხე” და “აფეთქება” მოიცავს სხვა შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსულ შეტყობინებებსაც. მათგან მხოლოდ ბუნებრივი აირის და CO- ს გაჟონვის შემთხვევების გამიჯვნა მოხდა საქმის შესახებ დეტალური ინფორმაციის დასაფიქსირებლად არსებული ტექსტური ველიდან („შენიშვნის ველი“), სიტყვათა სხვადასხვა კომბინაციის შერჩევით, რაც შესაბამისად ვერ ასახავს ზუსტ მონაცემს.

გამომდინარე აქედან, მოწოდებული სტატისტიკა, ბუნებრივი აირის და CO-ს გაჟონვის შემთხვევებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების შესახებ, არის რეალურთან მიახლოებული, მაგრამ არა ზუსტი.

იხ. მიბმული ფაილი

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**